ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4964378

ნომერი: AR1750683

თარიღი : 26.05.2020

გაცემის თარიღი : 02.06.2020

გაცნობის თარიღი : 02.06.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერისთავი , N 1 , (ნაკვ.36/18);

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ ჯიჯავაძე პ/ნ 61008001002
- ქ.თბილისი, თ. ერისთავის #1/ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე დემონტაჟი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე ახალი მშენებლობა
- საჩრდილობლის მოწყობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ქუჩა ერისთავი, N1 (ნაკვ.36/18), შპს „თბილისი ლამ“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთის საზღვრებში არსებული ღობის დემონტაჟს და მის ნაცვლად მსუბუქი კონსტრუქციის ღობის მოწყობას ასევე შენობა N02/1-ის ამორტიზირებული სახურავის მსუბუქი მასალის გამჭვირვალე კარბოლუქსით შეცვლას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882019973223 26.02.2020წ. საკადასტრო კოდი №01.12.08.036.018, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, ქუჩა ერისთავი, N1 (ნაკვ.36/18), შპს „თბილისი ლამ“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთის საზღვრებში არსებული ღობის დემონტაჟს და მის ნაცვლად მსუბუქი კონსტრუქციის ღობის მოწყობას ასევე შენობა N02/1-ის ამორტიზირებული სახურავის მსუბუქი მასალის გამჭვირვალე კარბოლუქსით შეცვლის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.